სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ბათუმის „ბათუმი“ - თბ „ხვამლი“		
გუნდი	ბათუმის „ბათუმი“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ა“ ლიგა
მატჩის თარიღი	18/02/2024	მატჩის ადგილი	ბათუმი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	თენგიზ გოგიბერიძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, დავით ბალუაშვილი	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 8.6. საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	21/02/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☒ კი (დისტანციური) ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, დავით ბალუაშვილის საითინგი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, დავით ბალუაშვილის საითინგი;
2. მატჩის მსაჯის, დავით ბალუაშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ბათუმის „ბათუმი“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდის მწვრთნელის, თენგიზ გოგიბრიძის განცხადება.

თენგიზ გოგიბერიძემ:

- ✓ აღიარა მატჩის ოფიციალური პირის გადაწყვეტილების საჯაროდ გაპროტესტების ფაქტი;
- ✓ დაადასტურა, რომ მსაჯს მიმართა რეპლიკით „ თუ მსაჯობ წესებიც წაიკითხე“. თუმცა, მისი თქმით ეს რეპლიკა საყვედურის სახით იყო ნათქვამი;
- ✓ განმარტა, რომ მას არ მიუმართავს მსაჯისთვის აგრესიული და შეურაცხმყოფელი ტონით;
- ✓ წუხილი გამოთქვა მომხდარი ინციდენტის გამო და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე;

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა

1. მატჩის მსაჯის, დავით ბალუაშვილის საითინგი (ციტირება) – „მატჩის პირველი ტაიმის ბოლო წუთზე, ბათუმის „ბათუმი“ - ს ჰქონდა აუტი მოედნის ცენტრში, მოწოდდა აუტი რა დროსაც, ღია თამაშში დავაფიქსირე ბლოკირება, ჩემ გადაწყვეტილებას ბათუმის „ბათუმი“ -ს მწვრთნელის აღელვება მოჰყვა, მოვუწოდე მას, თავდაპირველად დაწყნარებულიყო, შემდეგ კი ეცადა ჩვენთვის თამაში, ჩვეულ რითმში გაგვეგრძელებინა, თენგიზ გოგიბერიძე გამოირჩეოდა აგრესიით და მომიწოდებდა მესწავლა წესები, რის გამოც მან მიიღო წითელი ბარათი და დატოვა მოედნის ტერიტორია. მატჩი გაგრძელდა, მშვიდ ვითარებაში, ამ შემთხვევას გავლენა არ ჰქონია თამაშზე.“

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივ გარემოებებზე მსჯელობის დროს გაითვალისწინა თენგიზ გოგიბერიძის გულწრფელი აღიარება და სუფთა სადისციპლინო ისტორია. კომისიის წევრება გამოთქვეს საკუთარი შეხედულება მომხდარი ინციდენტის სიმძიმის და შესაბამისი დისციპლინარული სანქციის დაწესების შესახებ.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა

სხდომაზე წარმოდგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე მსჯელობის შემდეგ, სადისციპლინო კომისიამ დაადგინა:

1. თენგიზ გოგიბერიძის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.6 (**საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;**) პუნქტის დარღვევა;
2. დარღვევა შეფასდა როგორც დაბალი სიმძიმის;

დადგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით, სადისციპლინო კომისიამ მიიღო

გადაწყვეტილება

1. ბათუმის „ბათუმი“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდის მწვრთნელს თენგიზ გოგიბერიძეს მიეცეს **პირობითი** დისკვალიფიკაცია 2(ორი) სათამაშო კვირით. რაც გულისხმობს, რომ თენგიზ გოგიბერიძეს ეკრძალება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის თამაშის დღეს, **სათამაშო სივრცეში*** ყოფნა.
2. **პირობითი** დისკვალიფიკაციის პერიოდი განისაზღვროს 22/02/2024-დან 18/03/2024-მდე.
3. **პირობითი** დისკვალიფიკაციის პერიოდში პროვნების მხრიდან ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში, განმეორებითი დარღვევისთვის დაკისრებულ სანქციას ავტომატურად დაემატება პირობითი დისკვალიფიკაციით გათვალისწინებული კვირები.

* სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია: ტერმინთა განმარტება - 2.12. **სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	22/02/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]